საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№145 (6370) 4 დეკემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

## ინფორმაცია, ქრონიკა

თბილისში გაიმართა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციების სრულიად საქართველოს შეკრება, რომელმაც განიხილა საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციისა და ადგილობრივ მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

კამათში მონაწილეობდნენ „მრგვალი მაგიდის“ რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს წევრები.

* * *

გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სხდომა. საკრებულო დალოცა მამა იორამმა, მიმოიხილეს საქართველოში დღეს დღეობით არსებული სიტუაცია, კომენტარი გაუკეთეს უზენაესი საბჭოს არჩევნებს.

## ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა ადგილებზე დემოკრატიულად და საჯაროდ გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნას კომისიები რეგიონებში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით.

კომისიებს ქმნიან და მათ შემადგენლობას არჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

კომისიებმა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, სახალხო და სახელმწიფო ქონების განიავება-დატაცების აღსაკვეთად.

მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე და მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე შეწყდეს სახელმწიფო კოოპერაციული ქონების ყიდვა-გაყიდვა და მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს გევალებათ შეუქმნათ კომისიებს მუშაობის სათანადო პირობები, გამოუყოთ სამუშაო ოთახები, უზრუნველყოთ ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

თ. სიგუა.

## ხილი: გეგმა შესრულდა

ბარაქიანი გამოდგა წლევანდელი წელი რაიონის მეხილეებისთვის. სხვადასხვა ჯიშის ლეჩხუმური ხილით დატვირთული ბაღებიდან ამდენი მოსავალი არასდროს მიგვიღია. შეუფერხებლად მუშაობდნენ ხილის დამამზადებელი პუნქტები, მიუხედავად საწვავის ნაკლებობით გამოწვეული სიძნელეებისა, მთელი ძალები იქნა მობილიზებული, რომ სოფლის მშრომელებს შემოსავალი არ დაკარგოდათ.

სეზონი მიიწურა და საგეგმო დავალებაც გადაჭარბებით შესრულდა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 4270 ტონისა 5184 ტონა თესლოვანი ხილი ჩაბარდა დამამზადებელ ორგანებს.

ხილის საგეგმო დავალების გადაჭარბებით შესრულებაში თავისი წვლილი შეიტანეს ლაილაშის, ორბელის, ცაგერის, წიფერჩის, ღვირიშის, ლასურიაშის, ზუბისა და ოყურეშის სასოფლო საბჭოების მშრომელებმა.

გეგმა შესრულდა, მაგრამ რაიონის მიმღები პუნქტები 10 დეკემბრამდე ხილის მიღებას კვლავ აგრძელებენ.

### დღევანდელობა და ჩვენ

## მხოლოდ კონკრეტული საქმე

დაძაბული ვითარებაა ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენ, მშრომელ ადამიანებს ყველაზე მეტად ის გვაშფოთებს, რაც ირგვლივ ხდება—უწესრიგობა, თავის ნებაზე მიშვებული ადამიანების მოქმედება. ვინ რას ყიდის და როგორ მოქმედებს, არავინ კითხულობს. გვეჩვენება თუ მართლა ასეა, ყველაფერი მშრომელი, პატიოსანი ადამიანების საზიანოდ ხდება.

გვესმის, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა და ჩვენც ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ, მაგრამ გააჩნია რა. ის, რომ აგერ აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ვიღაცა ვიღაცის ხარჯზე მდიდრდება და იმას, რაც წინათ აკრძალულად ითვლებოდა, ახლა აშკარად ჩადის, ძნელად მოსათმენია.

არა არის რა პატიოსან შრომაზე უკეთესი, მხოლოდ სიკეთე და ერთმანეთის თანაგრძნობა, პირად ინტერესებზე წინ საქვეყნო, საერო ინტერესების დაყენება, საქართველოს ახალი მთავრობისადმი თანადგომა მიგვაღწევინებს იმ დიდ მიზანს, რისთვისაც დღეს ქართველი ერი ასე თავგამოდებით იბრძვის.

მე დასაბამიდან ასე მწამდა და მწამს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ მოჩვენებითობას, საქმით კონკრეტული საქმით დავამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ერთგულება, მე რითაც შემიძლია იმით დავამტკიცებ ამას, ყოველწლიურად ვიწევ აბრეშუმის პარკს, ვუვლი ზვარსა და სიმინდის ყანას, თანდათან ვაძლიერებ ოჯახურ მეურნეობას. ახლა შევიტყვე რა აბრეშუმის პარკის ფასი საგრძნობლად გაიდა, მეაბრეშუმეთა დაინტერესება ამაღლდა ქართული აბრეშუმი საზღვარგარეთის ბაზარზე სავალუტო გაცვლის საგანი გახდა, გულით და სულით ვუერთდები ასოციაცია „აბრეშუმის“ წევრთა მოწოდებამიმართვას. მზადა ვარ ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო იმ დიდ საქმეში, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჰქვია.

**ნორა მეშველიანი,**

სოფ. ჩხუტელი.

მშობელი ერის თავდადებული და ერთგული სამსახური ძნელი საქმეა, ორმაგად ძნელია იგი, თუ წინ ეკლიანი გზა გიძევს სავალად. დიდი სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა უნდა გქონდეს ადამიანს, რომ შეუცდომლად გალიო ეს გზა, არ შეცდე, არ დათმო სული ხორცისთვის, არ გადაუხვიო არჩეული გზიდან თუნდაც მაშინ, როცა საკუთარი სისხლი და ხორცი ამას გიკიჟინებს და გაძალებს, ძნელია მაშინ დაადგე ერის განთავისუფლებისკენ სავალ გზას, მაგრამ ესეც ხომ ნათელია—მაშინ ხარ ერის ნამდვილი შვილი, როცა ერს უჭირს და მხარში ამოუდგები, უღელს გაუწევ, პირად ცხოვრებას უარყოფ და მთელი შეგრძნებით ეროვნულს მიეცემი, თორემ მზამზარეულზე მისვლა, როგორც ამას დღეს ბევრი აკეთებს, ადვილია, შენითვე უნდა გაიკაფო შენი სავალი. ქართველი კაცისაგან ეროვნული იდეალებისათვის თავგანწირვა არ უნდა იყოს ჩვენთვის უცხო, მაგრამ ვაი ჩვენ, რომ ცოტა ხნის წინ ქართველებს ერისკაცის ძებნა გვჭირდებოდა, კომუნისტური მორალით თავგამოჭედილ და ზნემაღალი იდეალებისაგან გაძარცულ ბევრ ჩვენს თანამემამულეს დიდებული კომუნიზმის აბსურდულობა ვერ შეუგნია ჯერაც. რა ვუყოთ, ნათქვამია: „ღმერთი მიგიტევებს შენ შეცოდებათა შენთა, რამეთუ არ იცოდი რასა იქმოდიო“.

სულ სხვაა, როცა ადამიანი თავიდანვე თავს გადასდებს ეროვნული საქმისათვის და მიზანს ბოლომდე მიჰყვება, ბევრია ასეთი ქართველი ირგვლივ. ერთ-ერთი მათგანია ალექსანდრე ზურაბის ძე ახვლედიანი. იგი 1961 წელს დაიბადა ცაგერის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში — ტვიშში. ბავშვობა აქ გაატარა. ჩვეულებრივმა, თითქმის სხვებისაგან არაფრით გამორჩეულმა მოსწავლემ ტვიშის საშუალო

### დეპუტატი

## რწმენის ერთგული

სკოლის დამთავრების შემდეგ ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. სტუდენტური წლები ყველაზე მეტად საინტერესო, ემოციებით და წინააღმდეგობებით დატვირთული იყო მისთვის. სწორედ სტუდენტობამ აზიარა იგი ეროვნული მოძრაობის საკეთეს და ამ მოძრაობის ერთგულ თანამდგომადაც აკურთხა. ამის შემდეგ სულ სხვა ელფერი მიიღო 17-18 წლის ახალგაზრდა ბიჭის ცხოვრებამ. იგი თავის მეგობრებთან ერთად იატაკქვეშა საქმიანობას ეწეოდა. ამავე დროს დაუახლოვდა იმ ჯგუფს, რომელსაც ქართული ეროვნული მოძრაობის პატრიარქი ბატონი ზვიად გამსახურდია ედგა სათავეში. საქართველოში კი ამ დროს მწვავე პოლიტიკური სიტუაცია იყო. ყოველგვარი ეროვნული სასტიკად იდევნებოდა, ხოლო „ზედმეტად თავგამოდებულ ქართველებს“ პოლიტპატიმრის იარლიყით სატუსაღოებში ათავსებდნენ. ქართველ ბიჭებს ვინ გააბედვინებდა საბჭოთა არმიის ჯარისკაცობაზე უარის თქმას. ამ დროს პარტიისა და ხელისუფლების მიერ „ნეოსტალინური“ პოლიტიკის გატარებამ გარკვეული რეპრესიები მოიყოლა თან ამ სუსხიან პერიოდში ალექსანდრე ახვლედიანი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, ვინც გაბედა და უარი განაცხადა საბჭოთა არმიაში სამსახურზე, რისთვისაც იგი გაასამართლეს, მას კი უკანდახევაზე არც უფიქრია.

ალექსანდრე ახვლედიანი ილია მართლის საზოგადოების ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი იმ მიზნით, რომ მისთვის თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი „საშიშროება“, რაც ანტიეროვნული ძალებისაგან ელოდა, ალექსანდრეს მაინც არ უღალატია თავისი პოლიტიკური მრწამსისათვის.

დღეს ალექსანდრე ახვლედიანი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრია, ახლა უზენაეს საბჭოზე მთელი ქართველობის იმედია დამყარებული, ამ იმედის გამართლება კი მის ყველა წევრზეა დამოკიდებული, გარკვეულ წილად მასზეც.

ღმერთმა ქნას იმედი გამართლდეს!

**გიორგი ჯიაძე.**

## რეზონანსი

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ორგანიზაციასა და საერთოდ, ჩვენს სისტემაში მეოთხე კვარტალში შექმნილმა მძიმე ფინანსურმა სიძნელეებმა, აგრეთვე გაზეთ „ლეჩხუმში" გამოქვეყნებულმა წერილმა „გზის მშენებელთა საქმენი".

# ჩვენი პრობლემები ყველამ გავითავისოთ

წერილის ავტორზე სამდურავი არ გვეთქმის, ვინაიდან გაზეთში დადებითად არის ჩვენი ორგანიზაცია დასახელებული, მაგრამ რაც შეეხება, თითქოს ჩვენ მიმდინარე წელს კაპიტალური შეკეთება ჩავუტარეთ უსახელოს სასოფლო გზას, ალპანა-ზოგიშის, ქვედა ლაილაშის, ლაილაში-ლუს, ლასურიაში-ალვის საავტომობილო გზებს არასწორია. გვაქვს გზების მოვლა-შენახვის თანხა 17,68 ათასი მანეთი.

ჩვენთან შემომავალი შიდასასოფლო გზები არის 196 კილომეტრი და თითოეულ კილომეტრზე ზედმეტ-ნაკლებად ვხარჯავთ 0,8 ათას მანეთს. ამ გზით ნაწილობრივ შევაკეთეთ ზემოთ ჩამოთვლილი გზები.

მინდა მკითხველისათვის ცნობილი იყოს, რა კეთდება ჩვენს რაიონში არსებული რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე წელს და რა გადასაწყვეტი პრობლემები გაგვაჩნია. რაც შეეხება რესპუბლიკური მნიშვნელობის წყალტუბო-ცაგერისა და ალპანა-ცაგერის გზებს, ჩაუტარდა ორმოული შეკეთებები, გაკეთდა საგზაო ნიშნები. კაპიტალური რემონტი ჩატარდა და დაასფალტდა წყალტუბო-ცაგერის გზის 19-22, 30-31, 46-50 კილომეტრები.

რაიონული მნიშვნელობის გზებს წლების განმავლობაში უტარდებოდა კაპიტალური რემონტის სამუშაოები, იხრეშებოდა თითქმის ყველა გზა, მაგრამ ვინაიდან არსებულ გზებს არ გააჩნია არავითარი პარამეტრები, არ ჰქონდა დამცავი საშუალებები, სანიაღვრე არხები, ყოველი დიდი ავდრის შემდგომ ისევ საკეთებელი იყო. ამიტომ სამმართველოს უფროსის ო. გიორგობიანის ინიციატივით დაისვა საკითხი, რომ ყოველ წელიწადს ჩვენზე დაშვებული კაპიტალური რემონტის თანხებიდან გაკეთდეს რამდენიმე (4-5) სოფლის გზა ისე ბეჯითად, რომ ყოველ წელს არ იქნეს ისევ საკეთებელი.

ამიტომ ჩვენი და მოწვეული ორგანიზაციების ძალებით დავიწყეთ შემდეგი გზების კაპიტალური შეკეთებები: კვერეშულაზუბი, რაჩხა-ისუნდერი, ლაძგვერია-ოფიტარა, ცხაკურის ხიდიზედა ოყურეში, ჯონოულის ხიდი-ჩქუმი, ალვი-ცაგერი-გვესოგველემბარი, მახაში-სანორჩი, ღვირიში-ნასპერი, ალპანა-ქვედა საირმე, ალპანა-ზედა საირმე. ამ გზებზე გამვლელი დარწმუნდება, რომ წამოწყება კარგია და ასეც უნდა გაგრძელდეს.

წელს ავაშენეთ ორხვის ხიდი და ასევე მცირე ძალიანი 14 ხიდი. საგზაო სამმართველოს დანაზოგებით შეყვანილ იქნა გზა ხვამლზე—წმინდა გიორგის ეკლესიამდე. მომავალ წელს ამ გზას გავაფართოვებთ, დავხრეშავთ იმ ვარაუდით, რომ ყველა მარკის მანქანამ იაროს. ჩვენი ძალებით აშენებული იქნა კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობა, გარაჟები და საქმიანი ეზო. შევიძინეთ ახალი, ჩვენთვის საჭირო 11 მანქანა-მექანიზმი.

მიუხედავად გაკეთებულისა, არა ერთი წამოწყებისა, ორგანიზაციას გააჩნია მრავალი პრობლემა და ნაკლოვანება რაშიც სათანადო დახმარება უნდა გაგვიწიონ უწინარეს ყოვლისა თითოეულმა ლეჩხუმელმა და ყველა ორგანიზაციამ, ვისთვისაც ძვირფასია ლეჩხუმი, მისი გზა და იერსახე.

ცენტრმა კიდევ ერთხელ მოიქნია კუდი და დაავალა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საგზაო ორგანიზაციებს შეუწყვიტოს მეოთხე კვარტალის დაფინანსება. რა იქნება მომავალში?

ორგანიზაცია ცუდ ფინანსურ მდგომარეობაშია. არადა უახლოეს ორ წელიწადში უნდა დაიწყოს და დამთავრდეს წყალტუბო-ცაგერის, ალპანა-ცაგერის გზების ძონაკვეთები, კერძოდ გელავერის 23-29, ოყურეშის 39-43, ლარჩვალი-ჭალისთავის 50-54-ე კილომეტრები.

1991 წლიდან უნდა დაიწყოს ჭალისთავი—ზედა ლუხვანოს, ლუხვანო-ზარაგულის, მახურის, ალვი-კენაშის, ქვედა ცაგერი—ლასურიაში—ალვის, ლასურიაში—დეხვირის, ჩხუტელი—ლასხანის ლაჯანა—უსახელოს, სპათაგორის, წილამიერის, ლაილაშის, თაბორის ორხვის, ნაკურალეშის გზების შეკეთება, გასაკეთებელია მცირე ძალიანი 12 ლითონის ხიდი.

გულისტკივილით მინდა ავღნიშნო ზოგიერთი სასოფლო საბჭოს პოზიცია მათ რეგიონში მშენებარე გზებთან დაკავშირებით. მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგია შესწიოს საზღვარი 1-2 მეტრით, ხოლო რაც შეეხება ანაზღაურებას, 10-ჯერ და მეტს ითხოვს. გარკვეული მოსაზრებით არ ვასახელებ ისეთ მოსახლეთა გვარებს, რომლებთანაც გარკვეული წინააღმდეგობა გვაქვს, მაგრამ ერთი კი უნდა იცოდნენ გზა მათთვის, მათი შთამომავლობისათვის კეთდება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადგილობრივმა ხელისუფლებამ კონკრეტულად დასვას საკითხი არსებული ორბელის გადასასვლელის გაუქმებაზე და გზა გაყვანილი იქნას შემდეგი მიმართულებით—ჩხუტელი—გვირაბის თავი—ლესინდი—წილამიერი—ორბელი.

აუცილებელია მომავალ წელს კურორტ ლაშიჭალის გზის დაწყება, რომლის პროექტი უკვე ორი წელია მზადაა. აღნიშნული გზის მშენებლობის დაწყებისათვის თანხები წილობრივად უნდა გამოყონ კონცერნმა „საქავტოგზამ", აგრომრეწვმა, სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საწარმოო გაერთიანების „საკურორტჯანმრთელობამ". ამ საკითხს ახლავე უნდა მიხედვა.

ამ პატარა წერილში ჩვენი ყველა სატკივარი და პრობლემა არ მოთავსდება, ამიტომ თხოვნა ასეთია—ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რაიონის ყველა მკვიდრმა, საზოგადოება „ლეჩხუმის" გამგეობამ—ერთი სიტყვით ყველამ ერთად ვიფიქროთ რაიონის ხვალინდელ დღეზე, რომელიც კეთილმოწყობილი გზის გარეშე წარმოუდგენელია.

ა. კიზირია,

ცაგერის საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

# მკვდარი ზონა

ტიუმენის ოლქი. როცა ვერტმფრენიდან იხედები, თითქოს ყველაფერი მოქმედია: რელსები და სემაფორები, სადგურები, ქოხები. ქვემოთ კი ნგრევა და გაუდაბნოება ჩანს. ათეული წლების განმავლობაში სალეხარდ-იგარკის რკინიგზა ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა—თითქოს იგი არსებობდა, მაგრამ ამასთან ცდილობდნენ არ ეხსენებინათ. ეს იყო უბრალოდ №501 მშენებლობა.

ჩრდილო ტრანსციმბირული მაგისტრალის იდეა საუკუნის დასაწყისიდან ჩაისახა, მაგრამ სალი აზრი კარნახობდა, რომ ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელების ძალა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიას ჯერ არ შეეძლო. სტალინის მთავრობამ კი არად ჩააგდო ეჭვები სახსრების მშენებლობის, მასალების შესახებ. გადაწყდა და 1947 წელს პოლარულ ტაიგასა და ტუნდრისკენ გაემართა რეპრესირებულთა ეტაპები. არაადამიანურ პირობებში მუშაობდნენ ტყვეები. გზის ყოველი კილომეტრი ადამიანთა სიცოცხლის ფასადაა გაყვანილი, რეპრესიული მანქანა გამალებით გზავნიდა „ხალხის მტრების" ახალ პარტიებს. 1953 წლისათვის უკვე დადიოდნენ მუშა მატარებლები სალეხარდიდან ნადიმში.

ბელადისა და მასწავლებ-







ლის სიკვდილის შემდეგ მშენებლობა შეწყვიტეს და ბანაკი დააკონსერვეს. იმ დროიდან დგას ძალადობისა და სისასტიკის ეს ძეგლი ჟანგმა შეჭამა რელსები, დალპა შპალები—უამრავი თანხა დაიმარხა ტუნდრაში. ფულით ვერ შეაფასებ დაღუპულთა სიცოცხლეს, ათეულ ათასთა დამახინჯებულ ბედს. არასრული მონაცემებით ხომ მშენებლობაზე დაახლოებით 100 ათასი კაცი მუშაობდა.

სურათებზე (ზემოთ) გზა არსაით; ბანაკის სამეთვალყურეო კოშკები დგანან, როგორც საშინელ წარსულის გახსენება: (ქვევით) №501 მშენებლობის ზოგიერთი დოკუმენტი.

ა. შჩუკინის ფოტო.
(საკდესის ფოტოქრონიკა)

# შეიქმნა სასოფლო თემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემო [illegible] კლუბში ჩატარდა სოფლის ყრილობა. ყრილობის წინაშე წარდგნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები ო. ყურაშვილი, ბ. ხეცურიანი, ნ. ხვადაგიანი, შ. ლეთოდიანი და სხვები. გაიმართა გულახდილი სჯა-ბაასი სოფლისთვის მტკივნეულ საკითხებზე. ითქვა, რომ ნადგურდება ბაღ-ვენახები, ხელაღებით იცემა სოფლის მიწები, ღია ცის ქვეშ ყრია მანქანა-იარაღები, სოფელს არ აქვს სასმელი წყალი, უვარგისია სოფლის გზები, ელექტრო ხაზები, მოშლილია სატელეფონო კავშირი. არ არის პურის საცხობი, არ არის არც ერთი სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. ითქვა, რომ ხელმძღვანელები კი არიან, მაგრამ ისინი ყურადღებას არ გვაქცევენ, ამიტომ ჩვენ უნდა მოვუაროთ, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ, გასაკეთებელი ჩვენ უნდა გავაკეთოთ, მოსაპოვებელი ჩვენ უნდა მოვიპოვოთ, სოფლის მიწა-წყალი ჩვენვე უნდა დავიცვათ, თორემ კომუნისტური ლოზუნგისა არ იყოს, „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით," ყველა ჩვენს ტერიტორიაზე სახლდება და თუ ასე გაგრძელდა, კაკალ სიმინდს ველარ მოვიწევთ,—ხომ არ არის საჭირო ამისათვის რაიმე გაერთიანება, იკითხა ბორის ხეცურიანმა—საჭიროა, საჭირო—წამოვიდა ხმები,—ჩამოვაყალიბოთ სასოფლო თემი და ავირჩიოთ მისი ხელმძღვანელობა,—თქვა [illegible]თმა, მეორემ, მესამემ.

წინადადებას კენჭი უყარეს. ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება სასოფლო თემის ჩამოყალიბების შესახებ და აირჩია თემის სადარბაზო 11 ამხანაგის შემადგენლობით. თემის უფროსად არჩეულია ოთარ კონსტანტინეს ძე ყურაშვილი, მოადგილედ ბორის აკაკის ძე ხეცურიანი. შეიქმნა რამდენიმე მუდმივმოქმედი კომისია.

შემოსულ წინადადებათა საფუძველზე თემის ხელმძღვანელობას დაევალა:

1. უახლოეს დროში დადგინდეს სოფლის საზღვრები კოლმეურნეობის დამსხვილებამდე არსებულ ფარგლებში და დაწესდეს კონტროლი, რომ არ გაიცეს სამოსახლოდ არც ერთი მტკაველი.

2. ყოფილი კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდიდან თავისი წილი გადაეცეს სასოფლო თემს.

3. აღიწეროს და სოფლისათვის გამოიყოს კუთვნილი ტექნიკა.

4. თემის განკარგულებაში დარჩეს აეროპორტის მასივი.

5. დაისვას საკითხი თემის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა თემისათვის გადაცემის თაობაზე.

6. დაუყოვნებლივ შეილობოს ბაღ-ვენახები ან დაინიშნოს მცველი.

მიგვაჩნია, რომ ახლანდელ პირობებში ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელია, ხოლო ახლო მომავალში ყველამ კარგად იცის, რომ გაიმართება მუნიციპალური არჩევნები. არჩეული ადგილობრივი ორგანოების ავკარგიანობა გადაწყვეტს მომავალში ასეთი თემის არსებობას. ახლა კი, როცა ძველი ხელმძღვანელობა და კანონები საჭიროდ არ მოქმედებენ და ახალი არ არის, სწორია აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ.

რ. ბაქრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ყველა თავის სიმღერას ამბობს

სახიფათოა მოყვარე მტერი,
ჯობია გყავდეს ჭკვიანი მტერი.

ლაფონტენი

ასე მხნე და ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ!

გვყავს ჩვენი არჩეული ეროვნული პარლამენტი, პარლამენტში კი მამულიშვილები, რომლებსაც მამული უსაზღვროდ უყვართ...

ჩემს განწყობილებას ბუნებაც იზიარებს. თითქოს ირგვლივ ყველაფერი მღერის, მესალმება, გულის კარს მიღებს, ხელს მიქნევს და ღიმილით მხვდება, თითქოს საუკუნეები მესაუბრებიან „წარსულიდან რომ ხიდებად წამომდგარან და დღევანდელობასთან მოსულან, რათა თავიანთ სიდიადეზე ბევრად უნდა აამაღლონ ჩვენი მღელვარე 1990 წელი“. ყველა საკუთარ სიმღერას ამბობს... ამ სიმღერის ფესვები კი შორეული საქართველოდან მოდის...

წარმართულ ცეცხლს უსხედან ჩვენი წინაპრები და ფაზისის ველებზე ამორძალები დააჭენებენ უხედნ ულაყებს. შორიდან ისმის ცოტნე დადიანის ცხენის ფლოქვების თქარუნი და ლაქაშებს მიარღვევს თავდადებული მღვდელი თევდორე. მონასტერთა გრძელ ღამეებში ფოლიანტებს და ეტრატებს ჩაჰკირკიტებენ თოროსანი ბრძენი მამები, საქართველოს ციხეებზე დგას მეციხოვნედ მზის შუბოსანი მარადისობა, ხოლო ციხის ქონგურიდან წინაპრის ომახიანი ძახილი ისმის:

**„თევდორეე! თევდორეე!**
**შენისთანა მეკვლე გვინდა,**
**შენი ერი კიდევ ბევრჯერ**
**გამოგიხმობს ლეგენდიდან“.**

რომელი ერთი გამოვიხმოთ წარსულიდან, რომელი ერთის სიმღერას ვუსმინოთ... გმირი წინაპარი გვითვალთვალებს სათოფურიდან. აღარ იდებს დაშანთულ მკერდზე ხელს ქეთევან წამებული, ერთაწმინდაში პაატა სააკაძის სული ტრიალებს, უსახელო უფლისციხელი იმედიანი თვალით შემოგვყურებს:

**„შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო, სად არა გვხვრეპდა შავი ყორანი, რამ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდგორალი, ნაშამქორალი...“**

დიახ, იყო დიდგორი, იყო შამქორი, მაგრამ... კრწანისიც იყო!

და მაინც ცოცხლობდა საქართველო... დავით და კონსტანტინე მხეიძეების მიერ სამშობლოს სამსხვერპლოზე დაღვრილი სისხლის წვეთებად, სააკაძის ხმლის ელვარებად და... ბაზალეთთან ჩამოწოლილ შავ ლუსკუმად, წიწამურთან ნათელ შუბლში დახლილ ტყვიად.

ცოცხლობდა ალიხანოვ-ავარსკის გადამწვარი გურია და... კახეთს სტკიოდა გადამთიელთა მიერ მიყენებული ჭრილობები...

სტიროდა საქართველო გულიდან მოწყვეტილ ჩოლოყაშვილებს და ბაგრატიონებს. სტკიოდა, მაგრამ მაინც მღეროდა „ურმულს“ და „ჩელოს“, „ლილეოს“ და „მრავალჟამიერს“, მაინც მოდიოდა გამსახურდიებად, ჯავახიშვილებად, ტაბიძეებად, ასათიანებად და... ალგეთის ლეკვებად.

იყო 1921 წლის 25 თებერვალი... 1924, 1937 წლები, იყვნენ შაოსანი, მაგრამ მაინც შინმოუსვლელი შვილების მომლოდინე ცრემლიანი დედები, იყო დაობლებული შვილები, დაქვრივებული ქალები და...

კერია ჩამქრალ—გამქრალი ოჯახები.

იყო 1956 წლის 9 მარტი და ავადმოსაგონარი 1989 წლის 9 აპრილი, როცა კიდევ ერთხელ აღზევდა კაცი—კაენი, აღზევდა და წინაპართა საამაყო სახელებს კიდევ 21 სახელი მიუმატა...

ისტორიის უმკაცრესი განაჩენია და ვამბობთ: **„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“, „ჩვენთვის მონღოლია პირველი სახჭელი, მონღოლს მოჭყოლია თურქი და სპარსელი...“**, მაგრამ დიდია ღმერთი და ფუძემაგარი, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო არ უნახავს მტერს დაჩოქილი!

რუსეთის იმპერიის მბრძანებლობაც დასასრულს მიუახლოვდა. ხალხი დაიღალა თვალთმაქცური ტაშისა და ვაშას ძახილით. მობეზრდა ქართველს მონური ცხოვრება და მოეძალა თავისუფლების სურვილი. თავისუფლებისათვის ბრძოლამ შეგვმატა ახალი გმირები და წმინდანები...

ჩამოიყარა ტახტებიდან, კვარცხლბეკებიდან ტირანები და იყო შიში, იმ კვარცხლბეკებზე ბრბოს არ შეესკუპებინა, ან თვითონ არ შემხტარიყვნენ ისტორიის მამოძრავებელი თოჯინები და არ შეწყვეტილიყო მერაბისა და ზვიადის დაწყებული თავისუფლების სიმღერა, მაგრამ ქართველი ხალხის სიბრძნემ და გონიერებამ გაიმარჯვა.

ახლა თავისუფლებისკენ მიმავალ ეკლიან გზაზე მიაბიჯებენ ქართველები მტრის დაუნდობლობით და ციხის შიგნიდან გატეხის სინანულიანი გრძნობით და მაინც „ხატებს ხატავენ და ლოცვებს აღავლენენ, კოშკებს აგებენ და ტაძრებს ამაღლებენ, ზეცისა და ქვეყნის გასაგონად ლაღადებენ:

**„დადუმდებიან და ენას არ დათმობენ,**
**დაყრუვდებიან და ალგეთს არ დათმობენ,**
**მიწას არ დათმობენ, ზეცას არ დათმობენ,**
**საქართველოს არ დათმობენ ჯილა ქართველები.**
**წყენას ივიწყებენ, რწმენას იმტკიცებენ,**
**დედას იფიცებენ, მამულს აღმერთებენ,**
**და ღმერთს ადიდებენ და ღმერთს ადიდებენ,**
**და ღმერთს ადიდებენ ჩემი ქართველები“.**

ბედნიერი ვარ, რომ ქართველი ვარ, მაგრამ ჩემი ერის ესოდენ დიდ სიყვარულს ნურვინ ჩამითვლის სხვის სიძულვილად, რამეთუ ქართველნი იმ მოდგმისანი ვართ, თვით მტრის სიკვდილიც რომ გვიდარდია: **„იქნება ვეფხის დედაი, ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა“...** ჩვენ იმ სულგრძელთა მოდგმისანი ვართ, ფანდურზე რომ დამღეროდა: **„ღმერთო, ნუ მოჰკლავ ვაჟკაცსა, ცოდვაა შაიბრალეო, ნუ აუტირებ ცოლ-შვილსა, უშველე, დაიფარეო“...**

თავისუფალი ქვეყანა მინდა! თავისუფალი საქართველო, სადაც ყველა ბედნიერი ვიქნებით და თანაბარი უფლებით ვცხოვრებთ. საქართველოს [illegible] წარმოდგენა სხვანაირად შეუძლებელია. უბრალოდ, საბედისწერო ცოდვა იქნება [illegible] არ ესმით [illegible] აფხაზ სეპარატისტებს?.. [illegible] და მავანთ, ვისაც ქართული მიწა სამაჩაბლოსი დვალეთი ჰგონიათ, ხოლო ქართველები დამპყრობლები... არ მინდა სამაჩაბლოში ჩასულს სინანულით მითხრან გულმოკლულმა ქართველებმა: საკუთარ მიწაზე აღარ დაგვედგომება! ახლაც აღარ დგიჯერებ, რომ აქ მძევლები ვართ?..

ჩვენ ხომ ჩვენი ბრძენი წინაპრების კვალს მივყვებით: **„გმირმა თქვა: გმირი ვიყავი, ჯირითი შემოვისრიე, ჩემს მეზობლებთან მტრობასა, ისევ მოთმენა ვარჩიე“.**

ვითმენდით, ვითმენთ და სანამდე ვითმინოთ? პატიების ჩვენებური ტრადიციული გრძნობით, ურთიერთმოფერებით, ზოგჯერ ზედმეტად ლმობიერებით, თავმოყვარეობის და ღირსების არშელახვით, დათმობით სანამ ვაფუძნოთ კეთილმეზობლური ყოფა? ამაზე ხშირად მიფიქრია... და ახლაც, როცა საქართველოს ჰყავს ღირსეული პატრონი, როცა ქართული მიწა აღარ გაიყიდება, როცა იმედის სიომ დაქროლა, როცა კვლავ ისმის ომახიანად ჭათიანური: „ყველას უფლება აქვს თავად აირჩიოს თავისი ბედი“, როცა რეიგანისეული ანდაზაც ყველამ ვიცით—“ ძალით თავს ვერავის შევაყვარებთ!“ ავიტაცოთ შორეული საქართველოდან მომავალი სიმღერა და ჩვენს მიწაზე მცხოვრები უმადური ჩოჩიევების, კზარტმიანების, შინკუბების და სხვა მისთანების გასაგონად ერთხმად დავჭექოთ: „არ გინდივართ?—გზებიც დაგვილოცნია!“

დღეს ყველა თავის სიმღერას ამბობს...

მრავალჟამიერ! მამულო ჩემო!

დ. ჩორგოლიანი.

## მკითხველები გვწერენ

### ოჰ, ეს ტელეფონი

ალბათ, საუკუნეზე მეტია, რაც კავშირგაბმულობის ეს საოცრება შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და ისე დაამოკლა დრო და მანძილი, თავი ზღაპარში გეგონება. ახლა შეგიძლია შენი ხმა, შენი სიხარული თუ საწუხარსატკივარი ტელეფონის მეშვეობით, რამდენიმე წუთში მიაწვდინო, გააგებინო დედამიწის ნებისმიერ ადგილზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს—შენიანს თუ უცხოს, მტერს თუ მოყვარეს.

ერთი სიტყვით, გილხინს თუ გიჭირს, ტელეფონია შენი უპირველესი შემწე და მშველელი, იმედი და ნუგეში.

გიდგას მაგიდაზე ეს პატარა, ყოვლისშემძლე აპარატი და გულს უჩვეულო სიამაყითა და სიხარულით გივსებს და ნურავის გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ მის გარეშე არსებობა დღეს მართლაც წარმოუდგენელია.

ამიტომაცაა, რომ ყველას სურს გამართულად მუშაობდეს იგი, გემსახურებოდეს ისე, როგორც საჭიროა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ტელეფონები ნერვების ამშლელად უფრო გვევლინებიან და იმ დღეს ვწყევლით, როცა ისინი დამკვიდრდნენ ჩვენს ცხოვრებაში.

დღე არ გავა აფორიაქებულმა და გამწარებულმა ადამიანებმა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ოთახების ყველა კარი არ შეაღონ—ერთი თვეა ტელეფონი დუმს და განმკითხავი არავინ არისო.

არც თუ იშვიათია ასეთი დიალოგი:

—ლასურიაშია?
—არა, მილიციაა.
—კვირკაშვილის ბინაა?
—ალპანაა, გენაცვალე, ალპანა.
—ალო! შემკეთებელი ბიუროა?
—დიახ.
—ჩემი ტელეფონი ერთი თვეა დუმს.
—ნომერი?
—ესაა და ეს!
—გაკეთდება.
—როდის?
—მალე!

გადის რამდენიმე დღე და კვლავ რეკავ...

—ჩემი ტელეფონი კვლავ დუმს.
—გაკეთდება!
—როდის?
—მალე.

ისევ რეკავ მეხუთედ, მეათედ, მეასეჯერ რეკავ, ეხვეწები, ემუდარები, ელმერთები შემკეთებელ ბიუროს მსახურთ, მაგრამ ამაოდ.

იძულებული ხარ დიდი საყვირი ინატრო, რათა შენი ხმა მიაწვდინო ვისაც ჯერ არს...

გ. ევაშვილი.

## მეზობელ რაიონში

### ამბროლაურმა ბუნებრივი გაზი მიიღო

მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება გადაუდებელი საზრუნავია. სხვანაირად არ ეშველება სოფელს, არ მოევლება მიგრაციას.

ამიტომ მთელი საქართველო კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ რაჭაში დაიწყო ბუნებრივი გაზის შეყვანის სამუშაოები.

საქართველოს ამ რეგიონში ამბროლაური გახდა პირველი პუნქტი, რომელმაც ბუნებრივი გაზი მიიღო. უახლოეს ხანში აქ დაიწყება განშტოებული ქსელის მშენებლობა, რომელიც სათბობს მიაწვდის რაჭის სოფლებს.

გაყვანილია 50 კილომეტრამდე მაგისტრალური გაზსადენი თერჯოლა-ამბროლაური-ურავი,—ამბობს რესპუბლიკური კონცერნის „საქგაზის“ თავმჯდომარე ბახვა ლობჟანიძე.—იოლი როდი იყო ეს კილომეტრაჟი. მუშაობა ხან ჭაობიან დაბლობში მიმდინარეობდა, ხან მთებში. მოგვიწია რაჭის ქედზე, კერძოდ, საწალიკის მთაზე „გადასვლამაც“. ზოგიერთ ადგილზე, სადაც სამუშაოები მიმდინარეობდა, სიმაღლე 1700 მეტრს აღწევდა.

საინფორმაციო სააგენტო საქართველო.

## უნდა მოგვარდეს

საწარმო-დაწესებულებათა ეზოებში დადგმული ნარჩენების თუ ნაგვის ურნები დიდ სამსახურს გვიწევდა და სანიტარული წესრიგის თვალსაზრისითაც უკეთესი მდგომარეობა იყო. ნაგვის გატანა, ე. ი. ურნების დაცლა რომ დაგვიანდებოდა, ქალაღდები რომ არ გადმოყრილიყო და არ მიმობნეულიყო, ცეცხლს უკიდებდნენ, შიგ იწვებოდა.

ჰოდა, კომუნალური სამსახურის მუშაკებმა ეს ურნები კარგა ხანია აიღეს და უკან აღარ დაუბრუნებიათ. თუ ისინი მწყობრიდან არის გამოსული, რაღაც მაინც უნდა იღონონ, თორემ ნაგავი ახლა დაწესებულებათა ეზოყურეში იყრება.

იმედს ვიტოვებთ, რომ მოწოდებული ორგანიზაცია ამ საქმეს უმოკლეს დროში მოაგვარებს.

## სპორტი

# წინ საინტერესო ასპარეზობაა

რაიონული სპორტკომიტეტი, საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაცია, ნებაყოფლობითი ფიზკულტურული სპორტული საზოგადოება „შევარდენი“ აწყობენ ერთობლივ სპორტულ შეჯიბრებას მინიფეხბურთში რაიონის წარმოება-დაწესებულებათა, საცხოვრებელი უბნების სპორტულ კოლექტივებს შორის.

შეჯიბრება ჩატარდება ქალაქის სპორტულ დარბაზში. თამაშის ხანგრძლივობა 20 წუთია, ორი ათწუთიანი ტაიმით, ტაიმებს შორის 5 წუთიანი შესვენებით. მოთამაშეთა რაოდენობა მოედანზე განისაზღვრება 4 კაცით (მათ შორის ერთი მეკარე). მოთამაშეთა შეცვლა განუსაზღვრელია, შეხვედრას მსაჯობს ერთი მსაჯი მოედანზე.

შეჯიბრება მინიფეხბურთში ტარდება მოქმედი წესების მიხედვით (თამაშგარემდგომარეობის გარეშე).

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით.

მინი ფეხბურთის ტურნირში რიობას, მონაწილეობის მიღების მსურველმა სპორტულმა კოლექტივმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს რაიონულ სპორტკომიტეტში 10 დეკემბრამდე.

რაიონული შეჯიბრება მინი-ფეხბურთში ჩატარდება 11-22 დეკემბერს.

რაიონის ფართო საზოგადოებ- მინი-ფეხბურთის გულშემატკივრებს [illegible] მხარდაჭერასა და თანადგომას. აღნიშნული [illegible] ების ნორმალურად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

**რაიონული სპორტკომიტეტი;**
**საქ. ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაცია;**
**ნ. ფ. ს. ს. „შევარდენი“**

---

## ყველას! ყველას! ყველას!
### მ ი მ ა რ თ ე თ

რეზო თაბუკაშვილის სახელობის საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა ცენტრის **საინფორმაციო-საკონსულტაციო გაერთიანება „ინკო“-ს**

**თუ გსურთ:**

1. უცხოეთის ქვეყნების ორგანიზაციებსა და ფირმებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება, უცხოელი პარტნიორების გამოძებნა ერთობლივი საქმიანობის მიზნით.

2. ორგანიზაციის რეკლამა, ან პროდუქციის რეალიზაცია უცხოეთის ქვეყნებში, უცხოური პროდუქციის შესყიდვა.

3. მეგობრული კონტაქტების დამყარება უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებთან.

**მისამართი: 380005 თბილისი, ბარათაშვილის 17 ტელ. 98-75-15 98-75-16.**

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საზკვების გაერთიანების ობიექტებში გვესაჭიროება: მებუფეტე — რესტორან „ცაგერში“—1, რესტორან „ლეჩხუმში“—1, ასფალტის ქარხნის მუშათა სასადილოში—1, — რესტორან „რაჩხაში“ — 1, ლვირიშის რესტორანში—1. მზარეული—ოყურეშის რესტორანში—1, კაფეში—1, ლვირიშის ლელის რესტორანში—1; დამლაგებელი—ავტოსატრანსპორტო საწარმოს სასადილოში—1, ოყურეშის რესტორანში—1, რესტორან „ლეჩხუმში“—1.

მსურველთ გთხოვთ გამოცხადდეთ საზკვების გაერთიანებაში.

**ცაგერის საზკვების გაერთიანების დირექცია.**

---

## გილოცავთ

**სოფო გვიშიანს**
**სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ შეუღლებას, სულ ბედნიერი გზით გევლოთ, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ფუძემლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**ნინელი, ტუკა ჩხეტიანები, ციცო, ვაჟა ჩაკვეტაძეები ოჯახებით.**

## გილოცავთ

**ლეილა გურამის ასულ ფუტკარაძეს**
**გენოვი კონსტანტინეს ძე ლურჯუმაძეს**

გილოცავთ მეხუთე შვილის შეძენას. ღმერთმა აკურთხოს და აბედნიეროს თქვენი მრავალსიხარულიანი ოჯახი.

**ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.**

**გულო, კარლო სალინაძეებს**

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ფუძემლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

**რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.**

---

# გამოვა ბიულეტენი „ანომალია“

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში მრავალი ახალი გამოცემა გამოჩნდა. მათ შორის არის — სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი „ანომალია“. საკლესის კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს მისი რედაქტორი ს. ბულანცევი.

— რა არის „ანომალია“ და რაში გვჭირდება ასეთი ბიულეტენი?

— აქ არის გამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენი, და ყველანაირი სამკუთხედები, სადაც კი ყველაზე საოცარი ამბები ხდება, პოლტერგეისტიც მთელი თავისი დაუჯერებელი მოვლენებით, „თოვლის კაცი“ და შორაპანდედით მოსილი ექსტრასენსორიკაც მასთან დაკავშირებული სასწაულებით. ზუსტად რომ ვთქვათ, ეს მოვლენები ანომალია არ არის, ვინაიდან ისინი ხდება ყველგან და ყოველდღე. სიტყვა „ანომალია“ ასახავს არა იმ მოვლენის არსს, რომელმაც ჩვენი გაოცება გამოიწვია, არამედ ჩვენს დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი.

ოფიციალური მეცნიერება სკეპტიკურად უდგება გამოუცნობ მფრინავ ობიექტებს, პოლტერგეისტებს და სხვა „ანომალური“ კატეგორიის მოვლენებს... იგი არ უჯერებს ათასობით უჩვეულო მოწმეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლია ასეთი დაკვირვების ახსნა, რას იზამ, კიდევ ერთხელ მოგვიწევს „დავეწიოთ ამერიკას“. საჭირო არაა, „დავიჯეროთ ან არ დავიჯეროთ“ გამოუცნობი მფრინავი ობიექტების არსებობა, უნდა შევისწავლოთ ფაქტები და მაშინ კეთილსინდისიერმა მკვლევარმა შეიძლება შესძლოს და ჩაწვდეს ზოგიერთ ძნელად მისაწვდომ სფეროს.

— სერგეი ფედოროვიჩ, თქვენი შეხედულება გამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე, როგორც ჩანს, ოფიციალური მეცნიერების პოზიციისაგან განსხვავდება?

— ძალიანაც განსხვავდება. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სხვა ყოფასთან, სხვა ცივილიზაციასთან, რომელიც არ ამყარებს პირდაპირ ურთიერთობას კაცობრიობასთან.

და ბოლოს: შეიძლება „ანომალიაზე“ ხელის მოწერა, რა ღირს, და როდის დაიწყებს გამოსვლას?

— იმედი მაქვს, რომ იგი გამოვა მომავალი წლის იანვრიდან ყოველთვიურად, ახლანდელი საზომით იგი ძვირი არ ეღირება.

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**

---

მეუღლე პლატონი, შვილები თემური, თალიკო, მურმანი, ზურიკო, რძლები დარეჯანი, ვიოლა, თინა, და ციალა, ძმები შაქრო, ავთო, სიძეები რამინ ჯიაძე, გურჯან ზივზივაძე, შვილიშვილები ნათელა, მზია, მანანა, გოგიტა, ნონა, ნინო, რომანი, ხათუნა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა ვარლამის ასული დავითულიანი-ბურჯალიანი**

დაკრძალვა 8 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

---

დეხვირის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ბაბუცა, ქორა აჩვლედიანებს დედისა და სიდედრის

**სონა ტარასის ასული თაგვაძე-ლაჭყეპიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დიდიმ, ლუღუნი შკუბულიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი პლატონის ასული შკუბულიანი-ლიპარტელიანი**

---

შალვა ბურჯალიანი, სოსო გოლოძე, ამირან გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან

**გრიგოლ გიორგის ძე ლეშკაშელის**

გარდაცვალებას.

---

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო ჩაკვეტაძეს ბიცოლის

**ლილი შკუბულიანი-ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ჭიჭიკო, თამარი, ლილი, რძლები პოლინა გზობავა, მაია ჩაჩხიანი, სიძეები შალვა ბურჯალიანი, გურგენ ხუციძე, ფირუზ კოვზირიძე, ქორა ქოქოშვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მძახლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გიორგის ძე ლეშკაშელი**

დაკრძალვა 8 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ლუში.

---

ჩხუტელის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციალა გუგავას ბებიის

**მინადორა სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო ლაჭყეპიანს ბებიის

**სონა ლაჭყეპიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბაჩი ჩანქსელიანი, გივი ასათიანი, ამირან ნემსწვერიძე, თენგიზ ქარდავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი შკუბულიანი-ლიპარტელიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ სოზარ ლიპარტელიანს დედის

**ლილი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ციალა ჩაკვეტაძეს დედის

**მარო აკობიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა სალინაძეს ბებიის

**მინადორა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნატო დავითულიანს ბიძის

**ჯემალ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ რუსუდან ლაჭყეპიანს დედის

**სონა ლაჭყეპიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ რუსუდან ლაჭყეპიანს დედის

**სონა ლაჭყეპიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვოლოდია, გურგენ, ბიკინა, ტარიელ დავითულიანები, კოლია ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი შკუბულიანი**

---

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, სამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.